ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N3

28 ნოემბერი 2025 წელი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2025 წლის 28 ნოემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, ირინა ტყეშელაშვილი, ბიძინა ჯაბიძე, სიმონ ჭოლოკავა, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, თეა გოგნაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, დიომიდე კიკნაველიძე, მურად ბურჯანაძე, კახა კოხოძე, გვანცა გრძელიძე, შადიმან გორგოძე, გიგა კესარელი, გიორგი ჯაბიძე, თინათინ დემეტრაძე, ირაკლი მშვილდაძე, ირაკლი ყანაჩაველი, გიორგი ჭელიძე, ლაშა კბილაშვილი, ელიზა ზაზარაშვილი, გრიგოლ ტაბეშაძე, მარიამ მაშანეიშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, კობა კელენჯერიძე, გურამ ჩხეიძე.

სულ: 27 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ზაზა ზივზივაძე, მურად მსხვილიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

მარინა ჩხეიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

ლარისა ცერცვაძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო-სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

თინა აბულაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური,ს ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

პრესის წარმომადგენლები: „ჩემი გაზეთი“

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

ნინი მარგველაშვილი - საკრებულოს აპარატის სტაჟიორი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა გურამი კიკნაველიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვა
მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ანგარიში 2024-2025 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. მარინა ჩხეიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო-სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2024-2025 წლებში გაწეული მუსაობის შესახებ.

მომხს. ლარისა ცერცვაძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო-სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/03/2025 #გ-67.67250873 #5 განკარგულებაში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2026 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა – (GGP)-ში განაცხადის, „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისა და ეფექტური რეაგირებისთვის სპეც ტექნიკის შეძენა“, წარდგენაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. თინა აბულაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური,ს ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 27 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:1. მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: მურად ბურჯანაძემ, ირაკლი მშვილდაძემ, კობა კელენჯერიძემ ბიძინა ჯაბიძემ თორნიკე გაჩეჩილაძემ, მაია კბილაშვილმა, გურამი კიკნაველიძემ.

საკრებულოს კომისაზე საკითხის განხილვის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება საკრებულოს წევრებს მიაწოდა: : მურად ბურჯანაძემ – მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია მუნიციპლიტეტის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურidიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ანგარიში 2024-2025 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა მარინა ჩხეიძემ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

აზრი გამოთქვეს: ირინა ტყეშელაშვილმა, მაია კბილაშვილმა, თინათინ დემეტრაძემ, მარიამ მაშანეიშვილმა, გურამ ჩხეიძემ, გურამი კიკნაველიძემ.
გურამი ჩხეიძე - საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ხალხის ძალა"- გამოთქვა სურვილი მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კოლექტივმა მომავალი წლის ღონისძიებებში გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ცნობილი ადამაინები, როგორებიც იყვნენ: ვ.ვ. მაიაკოვსკი, შინდისის ბრძოლის დროს დაღუპული გმირები, ვ. ქაშაკაშვილი და სხვა

საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრტელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - ირინა ტყერშლაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის გადაწყვეტილება ანგრაიშის განხილვის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N46 განკარგულება:გ-67. 6725332001 თარიღი:28/11/2025 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 26 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 საკრებულოს წევრმა .

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო-სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2024-2025 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ საკრებულოს წევრებს გააცნო, **ლარისა ცერცვაძემ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო-სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.**

აზრი გამოთქვეს: ირინა ტყეშელაშვილმა, ირაკლი ყანჩაველმა, თეა გოგნაძემ, ელიზა ზაზარაშვილმა, გურამი კიკნაველიძემ.

საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრტელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - ირინა ტყერშლაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის გადაწყვეტილება ანგრაიშის განხილვის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N47 განკარგულება:გ-67. 67253322 თარიღი:28/11/2025 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 26 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 საკრებულოს წევრმა .

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/03/2025 Nგ-67.67250873 N5 განკარგულებაში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო, კახა მსხვილიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: გიგა კესარელმა, ფრიდონ მაჩიტაძემ, გიორგი კოტორეიშვილმა, თორნიკე გაჩეჩილაძემ, დიომიდე კიკნაველიძემ, ბიძინა ჯაბიძემ, გურამი კიკნაველიძემ.

საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრსტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება საკრებულოს წევრებს გააცნი კომისიის თავმჯდომარემ - თორნიკე გაჩეჩილაძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N48 განკარგულება:გ-67. 67253323 თარიღი:28/11/2025 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 26 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 საკრებულოს წევრმა .

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2026 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, კახა მსხვილიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: ზაზა ზივზივაძემ, მურად ბურჯანაძემ, გია სახამბერიძემ, ბიძინა ჯაბიძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, სიმონ ჭოლოკავამ, ფრიდონ მაჩიტაძემ, გურამი კიკნაველიძემ.

სკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრსტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება საკრებულოს წევრებს გააცნი კომისიის თავმჯდომარემ - თორნიკე გაჩეჩილაძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N49 განკარგულება:გ-67. 67253324 თარიღი:28/11/2025 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 26 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 საკრებულოს წევრმა .

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა – (GGP)-ში განაცხადის, „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისა და ეფექტური რეაგირებისთვის სპეც ტექნიკის შეძენა“, წარდგენაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

გაკარგულების პროექტი ბიუროს სხდომაზე წარმოადგინა თინა აბულაძემ- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი .

სკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრსტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება საკრებულოს წევრებს გააცნი კომისიის თავმჯდომარემ - თორნიკე გაჩეჩილაძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N50 განკარგულება:გ-67. 67253325 თარიღი:28/11/2025 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 26 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 საკრებულოს წევრმა .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე